საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები

სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესიდან

ამონარიდი

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის, სახელმწიფო ენაში მომზადების, მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსების დამატება

2.1. კოლეჯის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე მზადდება ინიციატივა კოლეჯში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის, სახელმწიფო ენაში მომზადებისა და მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსების შემუშავების და განხორციელების თაობაზე;

2.2. განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა ინფორმაციის სახით მიეწოდება კოლეჯში მოქმედ სამეთვალყურეო საბჭოს და განიხილება კოლეჯის დირექტორის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების დასაბუთების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების არსებობის შემთხვევაში, მიიღება დადებითი გადაწყვეტილება პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებით;

2.3. კოლეჯის დარგობრივი კათედრები კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და /ან ახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას;

2.4. დარგობრივი კათედრების მიერ მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

2.5. დარგობრივი კათედრების კოორდინაციაზე და პროგრამების შემუშავების ხარისხზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი) , ვინც პროფესიულ მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე ამზადებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, სახელმწიფო ენაში მომზადების და/ან მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებს, ასევე მოკლევადიან სასწავლო ტრენინგ-კურსებს, რომელებიც მტკიცდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავებას კოორდინაციას უწევს კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

2.6 საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით, ასევე არა ავტორიზებული პროგრამის ფარგლებში მომზადებული მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულება ვალდებულია გაიაროს პროგრამის მოპოვების პროცედურები.

2.7. ავტორიზებული საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ფარგლებში დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები აღიარების გზით .

2.8. ინსტიტუციური ავტორიზაციის მიზნებისთვის საჭირო დოკუმენტაციას ადგენს კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრული ადმინისტრაციული პერსონალი თანამდებობრივი უფლებემოსილების შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თვითშეფასების კითხვარის შევსებასა და თანდართული დოკუმენტაციის სისრულეზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

3.1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველი არის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი.

3.2. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) შემუშავება ხდება დარგობრივი კათედრების სხდომებზე დირექტორის მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით და მტკიცდება დირექტორის მიერ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

3.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში / მოდულების ადაპტირებაში მონაწილეობას ღებულობენ : პროგრამების ხელმძღვანელები, ზოგადი მოდულების, ასევე შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები;

3.4.დასამტკიცებლად წარდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს თან ერთვის: სასწავლო გეგმა, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსების ჩამონათვალი, დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნის არსებობის შესახებ, პარტნიორ კომპანიებთან არსებული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი (მემორანდუმი / ხელშეკრულება) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში კოლეჯთან თანამშრომლობის შესახებ.პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება. არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს;

3.5.იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამის განხორცილებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებაში არსებულ C გარემოში, პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (ფართის დამადასტურებელი და აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ, ხოლო, თუ საწარმოო პრაქტიკის ობიექტი არის სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ, მაშინ პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს პრაქტიკის განხორციელებისთვის ოფიციალური შეთანხმების დოკუმენტი (მემორანდუმი/ ხელშეკრულება) და პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი;

3.6.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც), გამონაკლისს წარმოადგენს წინამდებარე წესის 3.7. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევები;

3.7.როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ხუთდღიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა. ასეთ შემთხვევაში, დასაშვებია სტუდენტის კვირეული დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. ასევე, სასწავლო კვირაში, სადაც სრულდება მოდულ(ებ)ი, შესაძლოა, სტუდენტის საათობრივი დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. ქართული ენა A2“, ,,ქართული ენა B1“ და მოდულების სწავლება შესაძლებელია შესრულდეს 30 საათზე ნაკლები კვირეული დატვირთვით;

3.8.სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები;

3.9.სასწავლო გეგმა თავის თავში არ მოიცავს სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2“,,,ქართული ენა B1“ მოდულებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ .,,ქართული ენა A2" , ,,ქართული ენა B1“ მოდულები არ შედის საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში, მოდულების კვირეულ დატვირთვა გაწერილია ცალკე. ,,ქართული ენა A2", ,,ქართული ენა B1“ მოდულების განხორციელება/ სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება მოდულისა და კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად;

3.10.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა. მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად, შეიცლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა;

3.11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ტიპის მოდულებს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, საერთო სავალდებულო, სავალდებულო პროფესიული და არჩევითი/კონცენტრაციის მოდულები. სავალდებულო ზოგადი მოდულები, საერთო სავალდებულო და სავალდებულო პროფესიული მოდულების შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.

3.12.ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა ასევე შესაძლებელია შეიცვალოს გონივრული ვადით პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, მოდულებზე დაშვების წინაპირობები,
,,ქართული ენა A2“, ,,ქართული ენა B1“ მოდულების გონივრულ ვადებში განხორციელება);

3.13.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა ხდება დარგობრივი კათედრების სხდომაზე;

3.14.თუკი არჩევითი მოდულის შერჩევა სადაო ხდება კათედრების სხდომაზე აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებულ იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება;

3.15.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ პროგრამა სავალდებულო პროფესიულ მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ კოლეჯი უფლებამოსილია არჩევით მოდულებში გაითვალისწინოს სხვა უცხოური ენის ან ენების სწავლებაც, ან უცხოური ენის უფრო მარტივი (დაბალი დონე) ან რთული (მაღალი დონე) მოდულები, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს საშუალება უცხოური ენის სწავლა დაიწყოს მისთვის სასურველ დონეზე და დაასრულოს არჩეული მოდულის შესაბამისი დონით; ზოგადი უცხოური ენის შედეგები უნდა გამოიმუშავებდეს საგანმანათლებლო პროგრამით გაწერილ სავალდებულო ზოგადი უცხო ენის კომპეტენციებს;

მუხლი 4. მოდულის შემუშავების წესი

4.1, მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში ის ცალკე უნდა

დამტკიცდეს). თუ მოდულში შევა ცვლილება, გამოიცემა სამართლებრივი აქტი, რომ შეიცვალა პროგრამის შესაბამისი დანართი;

4.2. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან - ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;

4.3, მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია;

4.4. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები (და არა მიმართულებები);

4.5. საათების განაწილების სქემა - საათების განაწილებაში კოლეჯს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. შესაბამისად, კოლეჯის მიერ დამტკიცებული საათების განაწილების ცხრილი იქნება ან ზუსტად ანალოგიური ცენტრის მიერ დამტკიცებული განაწილების, ან საათების განაწილება სხვადასხვა კომპონენტს, ისევე როგორც სწავლის შედეგებს შორის იქნება გადათამაშებული, თუმცა ისე, რომ ჯამში საათების რაოდენობა უნდა უდრიდეს ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში მითითებულს. საათების განაწილების ცვლილებისას; დასაშვებია ცვლილება როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს);

4.6. მოდულის განხორციელების მიდგომები - ფორმულირებები შეიძლება შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს კოლეჯის მიდგომებს;

4.7. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები -კოლეჯს შეუძლია თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, ასევე, შეცვალოს სწავლების მეთოდები, საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგის შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მ.შ. ერთი ინსტრუმენტით);

4.8. მოდულის განხორციელების ადგილი - იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ მოდულებს მემორანდუმის საფუძველზე სხვადასხვა მისამართზე სავალდებულოა იმ ადგილის ან ადგილების მითითება, სადაც მოდული ხორციელდება: მისამართი, ოთახი და სხვა;

4.9. ტექნიკური აღჭურვილობა - საგანმანათლებლო პროგრამას (მოდულს) თან უნდა ახლდეს დაწესებულების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ნორმატივში მითითებულ პარამეტრებს და/ან გამონაკლის შემთხვევაში ჩანაცვლებული აღჭურვილობა თუ ჩანაცვლებული აღჭურვილობა იძლევა მოდულის სწავლის მიღწევის შესაძლებლობას;

4.10. მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები - ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს კოლეჯი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა;

4.11. შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები - შეფასების მიმართულება და მტკიცებულებები გაწერილია მოდულში და გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა და რა ტიპის ინსტრუმენტი უნდა შეირჩეს მტკიცებულებად, თუმცა კოლეჯს შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი. მთავარია ინსტრუმენტი შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს;

4.12. გამოყენებული ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები - ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში ჩამოთვლილია რეკომენდირებული წყაროები. კოლეჯმა უნდა შეიტანოს მის სბიბლიოთეკო ფონდში

დაცული ქაღალდზე ან ელეტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, ვებ-გვერდები და სხვა წყაროები, რასაც სასწავლებელი გამოიყენებს და კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი;

4.13. რეკომენდაციები სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის: უცვლელად რჩება და მოიცავს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის;

4.14. მოდულის განმახორციელებელი - საგანმამათლებლო პროგრამას თან ერთვის პროფესიული განათლების მასწავლებლის/ პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი მასწავლებლების მონაცემები. შესაძლოა მოდულს ორი ან მეტი პირი ახორციელებდეს. ამ შემთხვევაში მიეთითება ყველა მათგანი.

მუხლი 5. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება

5.1. კოლეჯი უფლებამოსილია შეიმუშავოს და განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მტკიცდება უფლებამოსილი პირის კოლეჯის დირექტორის მიერ.

5.2. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის გაანგარიშება ხდება კრედიტებით.

5. 3.მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისად, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგებს და საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ასევე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე.

5.4. მოკლე ციკლის პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები დგინდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს ადგენს სამინისტრო.

5.5. კოლეჯს უფლება აქვს განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი/მხოლოდ ის მოდული, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს ავტორიზაციით.

5.6. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამატება ხდება კოლეჯში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად (იხ, მუხლი 2,3).

5.6. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ასოცირებული ხარისხი.

მუხლი 6. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების, მოკლეევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების, მოკლეევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსების შემუშავება და განხორციელება.

6. 1.პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N 131 დადგენილების შესაბამისად.

6.2. პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

6.3. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

6.4. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძვლები შეიძლება იყოს:

ა) პროფესიის სტანდარტი;

ბ) პროფესიული-საგანმანათლებლო სტანდარტი;

გ) მოდული/მოდულები;

დ)საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილი მოთხოვნები;

ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში ISCO-08-ს ან/და საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორში ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (იურიდიული პირი აღნიშნულ კლასიფიკატორებში ახდენს იმ პროფესიის/პროფესიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების შინაარსთან.) იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

6.5. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება ხდება კოლეჯის მიერ მათი განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, ხოლო მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის შემუშავება ხდება მსურველთა მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიული მასწავლებელთან თანამშრომლობით.

6.6. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსება ხდება სამინისტროს მიერ 2019 წლის 15 მარტის N 131 დადგენილების შესაბამისად.

6.7. არაავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატების შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების მიზნით, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნულ მოკლევადიან პროგრამებზე გაიაროს ავტორიზაცია.

6.8. კოლეჯის მიერ შემუშავებული მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის საფასური განისაზღვრება პროგრამის განხოციელებისთვის საჭირო აუცილებელი რესურსების დანახარჯის (ადამიანური და მატერიალური) დაანგარიშების შესაბამისად.

6.9. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი ტრენინგ - კურსის ბიუჯეტის დაგეგმვასა და განკარგვაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხელმძღვანელობა.
6.10. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი ტრენინგ - კურსის მასალების ხარჯვის კონტროლს ახორციელებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.
6.11. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი ტრენინგ - კურსის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია.
6.12. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.
6.13. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამები და მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსები მტკიცდება კოლეჯის უფლებამოსილი პირის, დირექტორის, მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. პროგრამაში ცვლილებების შეტანა

7.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
7.2.პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფის წევრ(ებ)ს, რის შედეგადაც განიხილება დარგობრივი კათედრის სხდომაზე.
7.3.ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით.
7.4.პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე პროცედურის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად.
7.5.პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს სამართლებრივი აქტის ამოქმედდების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

მუხლი 30. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება

30.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით, კოლეჯმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:
ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;
ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პროფესიული სტანდარტის გაუქმების შესახებ;
გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა.

30.2.პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ცვლის პროგრამის მისაღწევ მიზნებს და შედეგებს, ცვლილებები განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ხოლო გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი მოდულების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შესაბამისად წინამდებარე წესის 28 - ე მუხლში დაწერილი პროცედურებით.

30.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების დადგენას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესაძლებლობას.

30.4.პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს იმავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;.

30.5.შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების ჩათვლას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და ინდივიდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს.

30.6.მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შესახებ მოტივირებულ გადაწყვეტილებას ღებულობს კოლეჯის დირექტორი კოლეჯში შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შესაბამისი პროგრამის სპეციალისტების, დამსაქმებლების და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირების) დასკვნის საფუძველზე; პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომიჯნავე პროგრამასთან გაერთიანების შესაძლებლობის საკითხი და ინფორმაცია მიაწოდოს როგორც პროფესიულ სტუდენტს ასევე კოლეჯის ადმინისტრაციას. ამავე დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე მოიძიოს სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტს.

30.7.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში დასაშვებია მხოლოდ მომიჯნავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება. გაერთიანებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი სწავლის შედეგების აღიარებას.

30.8.კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო

თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

31.9. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე დონის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში.

32.10.არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.